30.01.2014

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, დეკემბერი 2013

წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2013 წლის დეკემბერში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 8,4 პროცენტი, ხოლო 2013 წლის IV კვარტალში 6,9 პროცენტი შეადგინა.

2013 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის წლიურმა რეალურმა ზრდამ წინასწარი შეფასებით 3,1 პროცენტი შეადგინა.

2012 წლის იანვრიდან საქსტატი ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის ყოველთვიურ წინასწარ შეფასებებს, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით. შესაბამისად, რეალური კვარტალური გაანგარიშებები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს წინასწარი შეფასებისგან.

გარდა ამისა, ყოველთვიურად შესაძლებელია მოხდეს წინა თვეების დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების კორექტირება, რაც, შესაბამისად, რეალური ზრდის ყოველთვიური წინასწარი შეფასების მონაცემის კორექტირებასაც იწვევს.



ყოველთვიური ეკონომიკური სტატისტიკა

დეკემბერი 2013

ფასების სტატისტიკის მაჩვენებლები

	წინა წლის შესაბამის თვესთან	წინა თვესთან
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	102,4	101,5
სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი	95,6	99,9

საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებლები 2013 წ. იანვარი-დეკემბერი

	მლნ. აშშ დოლარი	ცვლილება % (წინა წლის შესაბამის პერიოდთან)
საქონლის ექსპორტი (FOB)	2 909,3	22,4
საქონლის იმპორტი (CIF)	7 874,4	0,4
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	10 783,7	5,5



სამეწარმეო სფეროს სტატისტიკის მაჩვენებლები

ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, დეკემბერი (ერთეული)	3 284
ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, დეკემბერი (%)	0,8
ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, იანვარი-დეკემბერი (ერთეული)	46 844
ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, იანვარი-დეკემბერი (%)	8,8
ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა, დეკემბერი (მლნ. ლარი)	5 110,4
ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დეკემბერი (%)	17,2
ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა, იანვარი-დეკემბერი (მლნ. ლარი)	45 897,3
ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, იანვარი-დეკემბერი (%)	3,1



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

შენიშვნა: მაჩვენებლები წინასწარია და ექვემდებარება დაზუსტებას.

საკონტაქტო პირები: ლევან გოგობერიშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302). E-mail: lgogoberishvili@geostat.ge; info@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge; info@geostat.ge